



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/80

„ 23 „ ივლისი 2015 წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის დანამატების
დაწესებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თანამშრომლებს 2015 წლის განმავლობაში დაუწესოს დანამატები სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, თვეში 7250 ლარის ოდენობით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი